საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

სამშაბათი 28 სექტემბერი 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. ხამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 219 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. — № 219

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

სამუილ (ბაქუა) კუპრაშვილი, ბაცუნია დადეშქელიანისა შვილებით, მინადორა კუპრაშვილისა შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ 28 სექტ. დილის 12 საათზე ქ. ქუთაისში მწვანე ყვავილის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

მარიამ (გვილიფხი)
და პატარა
ეთერი კუპრაშვილების

გარდაცვალების ექვსი თვის თავის აღსანიშნავათ. (3129 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ლიდა და ოლღა ილიას ასულნი სოლოღაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დ. ცხინვალში მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დეიდის

ნინო იაკობის ასულის გადრიძისას

დასაფლავება დ. ცხინვალში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3131—1—1)

გულდამწვარი დედა ნატალია ახთულას ასული, ძმა ნესტორი სოლომონის ძე, რძლები ნადია და ელენე, და პაშა, ბიძა ივანე სიმონის ძე და ბიცოლა მარინე სვანიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე სოლომონის ძე სვანიძეს

რომლის დასაფლავება მოხდება 28 სექტემბერს დილით სამშაბათს ნაშვადღევის 4 საათზე ქალ. ფოთში ნახუტურის ეკლესიის გალავანში (3134 1—1)

გულდათუთქული სიძე ელიზბარ მიხეილის ძე ჩიქავა და მეუღლე ოლღა სოლომონის ძე ჩიქავასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ პირველის ცოლის ძმის და უკანასკნელი ძმის

პეტრე სოლომონის ძე სვანიძის

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება 28 სექტემბერს დილით სამშაბათს ნაშვადღევის 4 საათზე ადგილობრივ ნახუტურის სასაფლაოს გალავანში. (3134 1—1)

ვასილი ქრისტეფორისძე ჯიბლაძე და ვალია სანიკიძის ასული ჯიბლაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი ძმა და ამხანაგის

პეტრე სოლომონისძე სვანიძის

უდროვოთ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება 28 სექტემბერს დილით სამშაბათს ნაშვადღევის 4 საათზე ქ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოს გალავანში. (3134—1—1)

ღრმად დამწუხრებული ძმა აკაკი აუწყებს ამხანაგებს და ნათესავებს თავის დის

კატო ლეონტის ასულ მეფარიშვილის

ტრაღიკულად დაკარგვას. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება 28 სექტემბერს კოლოანოვის ქუჩიდან № 3 საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათს 30 სექტემბერს გურიაში სოფელ ნანეიშვილში. (3135—1—1)

საქართველოს მუზეუმის
სამეცნიერო საბჭო
აცხადებს

კონკურს მუზეუმის ბიბლიოთ. გამგის თანამდებობაზე

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20 დის სამეცნიერო საბჭოსადმი მომართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქის ქუჩა № 10) ა) Curriculum vitae-ს და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს. კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა: სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა. თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის. მუზეუმის კანცელარიაში. (3125—3—2)

დ. თურდოსპირელი.
ამირანის ცეცხლი
(მოთხრობა.)
ფასი 5 თუმანი.
5—4

მე-2 სახელმწიფო თეატრში
(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პროსპ. № 21)
დანიშნულია
ხელახალი საჯარო შეჯიბრება
ამ თეატრის ბუფეტების იჯარით გასაცემად, რადგანაც პირველი შეჯიბრება არ შესდგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 70.000 მანეთი ბედ. პირობების გაცნობა თეატრის კონტორაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე. (ნ. 2—1)

რკინის გზელთა კულტურა განათლების კომისიასთან
არსებული სცენის მოყვარეთა წრეს გამგეობა ამით აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლია ჩაეწეროს ამ წრეში შემდეგი მისამართით 1) კულტურა განათლების კომისია ელისაბედის ქუჩა № 200, ან. ელენტთან, 2) ნაძალადევის სახალხო სახლი პლეხანოვის სახელობაზედ—ალ. ძაძანიასთან. (ნ. 2—1)

მოითხოვეთ ყველგან
გემოვნებით დაჯილდოვებული საუკეთესო ხარისხის
კონიაკი
გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები
დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და წვრილათ გაშვება თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5. (2980—15—8)

სახელმწიფო ოპერა
სეზონი 1920—21 წ.
დასის შემადგენლობა: (ანბანზედ)

ქალები:

სოპრანო:
ალეშკო მ. ი.
ბაიარსკისა ნ. ე.
ბურაგო ცეხანოვსკისა ვ. ვ.
ვალკონსკისა.
ვოლ-ლევიცკისა ა. ს.
ვიშემირსკაია-ცაგარელი მ. ა.
მანდენოვისა ს. გ.
მაზოვეცკისა ნ. გ.
მასტი ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რისი ო. ლ.
ოქროპირიძე.
სპრიშევსკაია დ.

მეცო-სოპრანო.
ერმოლინსკისა ა. ა.
პანინასი ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკისა ნ. გ.
ცინკ ფ. ხ.
ოვსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები:

ტენორები:
ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოლჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი ი. პ.
პუმბურიძე.

ბარიტონები:
ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხნიშვილი მ. ი.

ბანები:
დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
იმერლიშვილი ე. ი.
საბინინი იუ. დ.
ნიროვი ნ. პ.
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი ს.
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი ბალეტმეისტერი ს. ფ. ვაკარეცის და პრიმა-ბალერინა ბაუერზაკსის მ. ე. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბელსკი ა. დ., ქლენტი ვ. ლ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ი. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინგუს ე. დ., სოკოლოვისა ლ. ვ. გოლდმანი ლ. ია. ფალიაშვილი ჟანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. გ. გუნდი 50 კაცი. ორკესტრი 50 კაცი. მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი კ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები: ზალცმანი ა. ა. და სიმოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი ხ. ი. ევლახიშვილი.

სეზონი გაიხსნება
ხუთშაბათს, 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალ დეკორაციით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხოროთი.
ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი.

პარასკევს, 1 ოქტომბერს,
პიკის ქალი
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
დირიჟორი სტოლერმანი.

შაბათს, 2 ოქტომბერს
რიგოლეტო
ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.
დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.
დასაწყისი საღამოს ხრულ 8 საათზედ. სახელმწიფო თეატ. ადმინისტ.
(ნ. 1—1)

სპეკულიანტები

უკანასკნელ ხანებში გარეშე მტრისაგან ჩვენმა რესპუბლიკამ ცოტა არ იყოს თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ სწორეთ უკანასკნელ ხანებში მის ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას დაეტყო გაუარესება. გარეშე მტერი მოვიგერიეთ, მაგრამ შიგნით გაგვიჩნდა საფრთხე, რომელიც დიდს არევ-დარევას უქადის ჩვენს ქვეყანას. მიზეზი ჩვენი ფულის ნიშნების დაცემისა, რა თქმა უნდა, საერთო ეკონომიურ მდგომარეობაში იმალება. ფულის ნიშნების კურსის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი მეურნეობის გამაგრებით, რისთვისაც ერთი და ორი წლის აღმშენებლობა არ კმარა. მაგრამ ის კატასტროფიული, უეცარი დაცემა ჩვენი ბონებისა, რომელიც ამ ორი თვის განმავლობაში მოხდა, ხელოვნური მიზეზებით არის გამოწვეული. ამ ხელოვნურათ შექმნილ მიზეზებთან ბრძოლა ძნელი არ არის, თუ კი იცი ის სათავე, ის წყარო, საიდანაც ის გამომდინარეობს. ერთი ამ სათავეთაგანია სპეკულიაცია და მასთან დაუნდობელი ბრძოლა ჩვენ უნდა დღიურ წესრიგში დავაყენოთ.

ჩვენი მთავრობა კიდეც შესდგა ამ გზაზე. ბოლო ხანებში მან აღმოაჩინა მრავალი ბუდე სპეკულიაციისა და არა ერთი და ორი ათეული სპეკულიანტი იგდო ხელთ. უტყუარი საბუთებიდან სჩანს, რომ ამ სპეკულიანტებს დიდი ბრალი მიუძღვით ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის შერყევაში: მათ ხელში ჩაუგდიათ მთელი საზღვარგარეთის ვალიუტა, ფაქტიურათ მისი მონოპოლისტები გამხდარან და თითონვე უწესებიათ მისი ფასები.

ვინც თვალს გადაავლებს დაპატიმრებულ სპეკულიანტების სიას, დაინახავს, რომ მისი შემადგენლობა წმინდა ინტერნაციონალურია, მაგრამ მათ შორის საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 6—7 კაცია, (სულ 50-ზე მეტია დაპატიმრებული) დანარჩენები კი სულ უცხო სახელმწიფოებიდან შემოხიზნულებია. ბევრი მათგანი ის პირებია, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მიიღო იმ დროს, როდესაც ბოლშევიკები დენიკინელებს სამხრეთისაკენ მოერეკებოდენ. ჩვენმა რესპუბლიკამ შეიკედლა ისინი, როგორც დევნილნი, სიკვდილისაგან იხსნა ისინი. მაგრამ მადლობის ნაცვლად მათ ჩვენში გააჩაღეს მუშაობა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას ძირს უთხრის და საშიშ მდგომარეობაში აყენებს.

რომ ამ პირების შეპყრობა არ არის შეცდომის ნაყოფი, რომ ჩვენმა მთავრობამ ნამდვილათ მიაგნო სპეკულიაციის ბუნაგებს, ეს იქიდან ჩანს, რომ მათი შეპყრობის უმალვე ჩვენი ბონების ფასმა ერთბაშათ მაღლა აიწია: გირვანქა სტერლინგი, რომელიც სპეკულიაციის თავისუფლების დროს 6 ათას მანეთად ფასობდა, სპეკულიანტების დაპატიმრების უმალვე დაეცა 4,000 მანეთამდის და დღეს თანდათან ეცემა. ასევე ემჩნევა შაქრის ფასს: სპეკულიანტების დაპატიმრების წინა დღეს გირვანქა შაქარი 400 მანეთამდის ავიდა, მათ დაპატიმრების მეორე დღესვე ეს ფასი ორჯელ შემცირდა.

ეს და მრავალი სხვა ფაქტებიც გვ ჩვენებენ, რომ სპეკულიანტების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება ერთ-ერთი დიდი საშუალებათაგანია ჩვენი ფინანსების დაცემის შესაჩერებლათ. ჩვენ მთავრობას გადაუწყვეტია დაპატიმრებული სპეკულიანტების გადასახლება. ჩვენ ვიცით, რომ დაპატიმრებულთა შორის ბევრია ფულიანი და გავლენიანი პირი, ჩვენ ვიცით, რომ მრავალი კაცია დაზაინტერესებული მათ დასახსნელათ და მათ დასარჩენებლათ საქართველოს საზღვრებში. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საქმეში ჩვენი მთავრობა გამოიჩენს საჭირო სიმტკიცეს და არავითარ სისასტიკის და სიმკაცრის წინაშე არ შედრკება, თუ კი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს ამას.

პრესა

„საქართველო“ ჩვენი პოლიტიკის პრინციპიალური მოწინააღმდეგეა. მას არ მოსწონს ჩვენი მთავრობის ნაბიჯები, განსაკუთრებით შინაურ პოლიტიკის სფეროში.

ყველაზე მეტათ გაუჯავრებია გაზეთი იმ გარემოებას, რომ მთავრობა უმთავრეს ყურადღებას აქცევს მუშათა კლასის მდგომარეობას. ამ ნიადაგზე იგი მუდამ ცდილობდა მუშათა წინააღმდეგ საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფები აემხედრებია. ამჟამათ იგი მუშებს უპირდაპირებს ინტელიგენტებს და ასე მოგვითხრობს თავის გულის ნადებს.

„მთავრობა მარტო ფიზიკური შრომის წარმომადგენლებს უწევს ანგარიშს, მთავრობა მხოლოდ მათი იდეოლოგია. მათ ეთმობს და მათ ჰმოსავს პრივილეგიით; მთავრობა ან შეგნებულად მტრობს ინტელექტს, ან იმდენად ლაჩარია, რომ არ შესწევს მორალური ძალა, თვის აუდიტორიის წინაშე დაიცვას და მაღლა ასწიოს ინტელიგენტის საზოგადოებრივ მნიშვნელობა, მისი შრომის დაფასება. იგი ქუჩამ შეიყვანა სასახლეში და ქუჩას ტაშს უკრავს და ქედს უხრის. ქართველი ინტელიგენცია ნადგურდება ფიზიკურად, დაიქცა ნივთიერად და ამასთან ერთად ზნეობრივადაც წელში ტყდება, რა რომ ხედავს ასეთ სიმდიდრეს და მმართველობითი ხელოვნების სრულს პროფანაციას, და ყველა ამის ბუნებრივ შედეგად ქართველი ინტელიგენტი აზროვნებითაც დაკნინდა; მთელი მისი ფიქრი და ენერგია ლუკმა პურზე ზრუნვამ ჩაყლაპა. შემოქმედება შეწყდა. ჩვენს წინაშე ეროვნული კულტურის კრიზისი აღიმართება. ეს კრიზისი, როგორც აუცილებლობა, ისე მოიტანა მთავრობის პოლიტიკამ და მისმა იდეოლოგიამ.

„გაუმარჯოს კაჩეგარს, ძირს განათლება“!

ამ ლოზუნგით აშენებენ საქართველოს“!! „საქ.“ № 106.

ჩვენ რომ ყურადღებას ვაქცევთ მუშებს და „ქუჩებს“, ეს სრული სიმართლეა. მთავრობას ეს დიდებით მხარეთ უნდა ჩაეთვალოს, ვინაიდან მუშაა ის მთავარი ძალა, რომელიც ქმნის სიმდიდრეს და იცავს ჩვენს რესპუბლიკას.

მაგრამ, როცა საქართველო ამ მუშის დაცვაზე აგებს ინტელიგენციის ვითომდა მოძულებას, ეს კი ყოვლად დაუშვებელი დემაგოგიაა.

„გაუმარჯოს კაჩეგარს, ძირს განათლებაო“, გაიძახის ეს ბურჟუაზიის მაჩანჩალა გაზეთი. მას გონია, ალბათ, რომ ვინც კაჩეგარია, იგი უთუოდ უცოდინარობის და უკულტურობის წყაროა. მაგრამ სცდებით, ჩვენი „კაჩეგრები“ რომ თქვენს გავდეს, იმ კაჩეგარს, რომელიც თქვენს წარმოდგენაში არსებობს, ჩვენი რესპუბლიკა ერთს წუთსაც ვერ იარსებებდა.

საბედნიეროთ, ეს ასე არ არის. კაჩეგარს თქვენზე უკეთ ესმის მნიშვნელობა და ფასი განათლების. მას თქვენზე უკეთაც ესმის ქვეყნის ინტერესები. და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: „გაუმარჯოს კაჩეგარს“, რაც ნიშნავს იმავე დროს: გაუმარჯოს განათლებას და პროგრესს.

აი ამ ლოზუნგით ვაშენებთ ჩვენ საქართველოს და არა ფიზიკური შრომის და განათლების დაპირდაპირებით.

შეიგნებს კი ამას თქვენი ბურჟუაზიული გონება?

ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ინტელიგენციის მდგომარეობა, განსაკუთრებით მასწავლებლების და მოხელეების, მეტათ მძიმეა, რომ მათი ჯამაგირები დამაკმაყოფილებელი არ არის. მაგრამ მუშების მდგომარეობაც ამ მხრივ ასეთივეა: ისინი ორივე დაახლოვებით ერთგვარ პირობებში არიან. ჯამაგირების მხრივ ინტელიგენტური შრომა მეტს იღებს ყველგან, თუმცა არა იმდენს, რომ მუშათა შრომა ერთი ათად დაჩრდილოს, როგორც ეს ძველათ იყო, როცა ჯელას თავზე საყარი ქონდა საზრდო, მუშა კი შიმშილობდა.

სპეციალისტებს, და მცოდნე პირებს კი დღესაც აძლევს გარჩევას ჩვენი რესპუბლიკა და შეძლებისდაგვარათ ცდილობს მათი მდგომარეობის საუკეთესო პირობებში ჩაყენებას.

ან იქნება ის არ აძლევს მოსვენებას გაზეთს, რომ დღევანდელი ფინანსიურ-ეკონომიური კრიზისის შედეგები მხოლოდ და მარტო მუშებს არ დააწვა და ყველაზე განაწილდა შეძლებისდა გვარათ? ხოლო ვინც ამას გადურჩა, სპეკულიაციაში ჩაბმით ისინი იდებენ ბიან?

საბჭოთა რუსეთში

გეორგ ბრანდესის აზრი ბოლშევიკების შესახებ.

მოსკოვის „იზვესტიას“ № 171-ში დანიურ გაზ. „პოლიტიკენი“-დან გადმობეჭდილია გეორგ ბრანდესის წერილი „რუსეთი“. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „არავინ უწყის რას გვიმზადებს მომავალი, მაგრამ ჩვენ ვიცით ერთი რამ: რაც ერთ სახელმწიფოსთვის გამოსადეგია, მეორე ქვეყნისთვის სრულიად გამოუსადეგარია. ვერავითარი იდეა ვერ იქნება გადატანილი ერთი ქვეყნიდან მეორეში ისე, რომ რაიმე ცვლილება არ მოხდეს მასში. ისეთი, თავის დროზე ცხოველმყოფელი იდეაც კი, როგორიცაა პარლამენტარიზმი, თვითეულ ქვეყანაში ადგილობრივ თავისებურ პირობებისთვის უნდა შეეფარდებიათ. ამიტომ რამდენადაც ევროპა უფრო ადრე მიატოვებს თავის თავის ანაბარათ რუსეთს, რამდენადაც უფრო ადრე ეცდება იგი რუსეთს მისცეს თავისუფლება როგორც უნდა ისე მოეწყოს, როგორც ამას ჭკვიანურათ და სამართლიანათ ჩასთვლიან ხალხის რჩეული ბელადები, იმდენად უფრო მშვიდათ მოეპყრობა რუსეთი დანარჩენ ევროპას და დაეხსნებიან მას. ისტორიის გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ყოველი პოლიტიკური მოძრაობა, თუ მას გარედან ძალას არ ატანენ, უფრო რბილდება, ჰკარგავს თავის სისასტიკეს, თანდათან იცვლება შიგნიდან და უფარდდება მის გარშემო არსებულ პირობებს“.

საქმეთა წარმოების კურსები. მოსკოვში იხსნება „საქმის წარმოების, მანქანაზე გადაწერის, მეანგარიშეების, სტენოგრაფიის და სტატისტიკის საფუძველთა კურსები.“ ასეთი კურსების დაარსება გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა მთავრობას არ მოეპოვება დაწესებულებათა გამოცდილ მოსამსახურეთა საკმაო რიცხვი, მსმენელებს შეუმცირებენ სამუშაო დღეს.

ამას გარდა დიდი სიმცირეა სპეციალისტების—ბუხგალტერების, მეიჯნების და სხ. კურსებზე მსმენელებათ გაიგზავნებიან მოსამსახურენი მობილიზაციის წესით. („აზერ. ბედნ.“ № 34.)

შრომის ბეგარა. სმოლენსკის გუბერნიაში იძულებით სამუშაოზე გაიწვევს 180,000 კაცი და 19,000 ცხენი. („აზერ. ბედნ“. № 29.)

ცეცხლი. სარატოვში დიდი ცეცხლის (რის შესახებაც ჩვენ გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი ცნობა) გამჩენელს მილიციელს ბელოტოვს დახვრეტა მიუსაჯეს. („აზერ. ბედნ.“ № 24.)

„ზეპირი გაზეთები“. საბჭოთა რუსეთში ქაღალდის სიმცირის გამო დასავლეთის ფრონტზე და უკრაინაში დაიწყეს „ზეპირი გაზეთების“ საჯარო კითხვა, რომელიც ასე სწარმოებს: იმართება მიტინგი. გამოდიან ორატორები და რიგ-რიგობით კითხულობენ იმ მასალას, რომელიც გაზეთში იბეჭდება. პირველი ორატორი ამბობს ისეთ სიტ-

დღეს

[illegible]

[illegible]

„ჩითილ" ადერბეიჯანში

[illegible]

...ნის უპარტიო დელეგატის სიტყვამ ყრილობის მესამე სხდომაზე. მან გაკიცხა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების მოქმედება თურქესტანში; აღნიშნა მათი უტაქტო მოქმედება, რომლითაც ისინი აშორებენ საბჭოთა მთავრობას მაჰმადიანებსაო. შემდეგ თურქესტანის დელეგატი ამბობს: საბჭოთა მთავრობის ბევრი წარმომადგენელი თავის მოქმედებით კოლონიზატორები არიან, ეროვნულ შუღლს თესენ ხალხში და მას აშორებენ საბჭ. მთავრობას. ამ ორატორის სიტყვის შემდეგ ლაპარაკის დრო ყრილობის პრეზიდიუმმა განსაზღვრა და მისივე დადგენილებით სიტყვებს სთარგმნიდენ მხოლოდ თურქულ და ფარსულ ენაზე.

— ყრილობაზე ენვერფაშის და ჯემალ ფაშის მთავრობის წარმომადგენლების განცხადებათა გამო მიღებული რეზოლიუციები ბაქოს გაზეთებში არ გამოქვეყნდეს.

— ყრილობამ გამოუშვა 2 მოწოდება: 1) აღმოსავლეთის ხალხთადმი—ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ საღვთო ომის გამოცხადების შესახებ და 2) ყველა ქვეყნის მუშებისადმი—აღმოსავლეთის ხალხთათვის მოკლე ხანში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

აჯანყება ყუბაში. ყუბის მაზრის მთიან ნაწილში აჯანყდა ოთხი სოფელი იმათ წინააღმდეგ ბოლშევიკებმა გაგზავნეს დამსჯელი რაზმი. აჯანყება ჩააქრეს, რამდენიმე კაცი დახვრეტილია, მცხოვ-

[illegible]

წირვა ისევე კარგია, როგორც წიგნების შეწირვა. რასაკვირველია მოქალაქეებს არ მოეპოვებათ კარგი საწერი ქაღალდი, მაგრამ თუ ძველი კანცელარიების არქივებს გადავბრუნებთ, იქ აღმოვაჩენთ ძველ საკანცელარიო წიგნებს, რომელშიაც იქნება სუფთა ფურცლები, კანცელარიისთვის გამოსადეგი".

რემონტის კვირა. ადერბეიჯანის რესპუბლიკის რკინის გზებზე 12 სექტემბერს დაუწყიათ ტეხნიკურ დაზგების და მოწყობილებათა შეკეთების კვირა. („აზერ ბედნ". № 36).

ჩრდილოეთ კავკასიაში

დახვრეტა პიატიგორსკში და მინერალურ წყლებზე.

26 აგვისტოს კისლოვოდსკიდან ესენტუკისაკენ ავტომობილით მგზავრობდენ პიატიგორსკის ჩრეზვიჩაიკის თავმჯდომარე—ზენცოვი და პოლიტკომი ლონინი. ერთ ადგილას გამოცვივდნენ 8 შეიარაღებული ყაზახი და ისინი დახოცეს. ამის საპასუხოთ იმავე დღეს პიატიგორსკში მოხდა „ობლავები". პიატიგორსკში დახვრიტეს 56 საეჭვო პირი, სად. მინერალურ წყლებზე კი—26 კაცი. (ვ. გ.)

შეტაკება ბურუნებში

კიზლიარის რაიონში აგვისტოში, ბურუნებში მოხდა შეტაკება პარტიზანულ რაზმის წითელარმიელებთან. პარტიზანული რაზმის წინააღმდეგ, რომელიც ლერწამებში იმალებოდა, გაიგზავნა წითელ არმიელების რაზმი. მოხდა შეტაკება, რომლის შემდეგ წითელარმიელებიდან მოკლულ იქნენ 3 ჩინელი და 50 წითელარმიელი. პარტიზანებმა წაიღეს 3 ტყვიისმფრქვეველი, ობოზი და ვაზნები.

ამის შემდეგ მრავალი ყაზახები მოვიდნენ პარტიზანებთან. (ვ. გ.)

საალყო წესები არმავირში

30 აგვისტოს არმავირიდან 12 ვერსის მანძილზე გამოჩნდნენ ფოსტიკოვის მზვერავები. ამის გამო არმავირში გამოცხადდა საალყო წესები. გაზ. „სოვეტსკი კავკაზი" 1 სექტემბრის ნომერში ამის შესახებ სწერს.

„იმათთვის, ვინც დაკვირვებით თვალყურს ადევნებს განყოფილების ცხოვრებას, ეს უკიდურესი სამხედრო ზომა მოულოდნელი არ იყო. უკვე დიდი ხანია, რაც ლაბინის რაიონის სხვა და სხვა სტანციებში, განსაკუთრებით იმ ნაწილზე, რომელნიც დაბანაკებულნი არიან მთიან ადგილებში, გამოჩნდენ ყაჩაღთა ბრბოები. მათი მიზანია, არა მარტო მშრომელ ყაზახობის ძარცვა, არამედ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება კავკასიაში. ამ ბრბოებს ხელმძღვანელობენ ძველი მეფის გენერლები, რომელთაც დაივიწყეს რა თავიანთ ძველი დიდება, ყაჩაღებათ იქცენ. მათი მიზანია, რომ ყოველივე ძალღონით ხელი შეუშალონ საბჭოთა ძალაუფლების გაძლიერებას და მისი აპარატის ნორმალურ მუშაობას. ამიტომ ამა თუ იმ სტანიცის დაკავების დროს, მათი პირველი საქმეა საბჭოთა ორგანოების გარეკა და საბჭოთა მუშაკების და კომუნისტების სასტიკათ დასჯა. ჩვენ დიდხანს ვგულობდით ამ ყაჩაღთა ბრბოს და ჩვენი სირბილემ დამნაშავეთა წინააღმდეგ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ბრბოებმა გაბედეს, თავიანთი სისხლიანი თათები არმავირისაკენ გამოიშვირეს. გუშინ არმავირიდან 12 ვერსის მანძილზე გამოვიდენ ამ ბრბოს მზვერავები.

ჩვენ არ შეგვიძლია კიდევ ვითმინოთ ამ ბრბოების თავხედობა. აუცილებელია ერხელ და სამუდამოთ მიღებულ იქნას მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები, რომ ძირშივე ჩაკლული იქნას მათი სურვილი საბჭოთა ძალის წინააღმდეგ გამოსვლისა. ეს ბრბოები მარტო არ არიან—აუცილებელია მათ ყავთ თავიანთი ამხანაგები ქალაქში—და ყველა იმათ, ვინც სიძულვილით უყურებენ მუშათა-გლეხთა ძალაუფლებას, იცოდენ, რომ მისი შემმუსვრელი ხელი შეუბრალებლად დაატყდებათ მათ გამოსვლებსა და აგიტაციის პირველივე ცდაზე. წითელი არმია დარაჯად უდგას სოციალურ რევოლიუციის ინტერესებს".

(„ვ. გ.")

დატუსაღება საჩეჩნეთში.

საჩეჩნეთში დატუსაღება გრძელდება. აჯარებული ხალხი მთებში იხიზნება, პური აღრიცხვეს და ართმევენ. („ვ. გ.")

სპარსეთში

ქუჩუკ ხანის პასუხი სპარსეთის მთავრობას.

პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული, რომ ქუჩუკ-ხანი იმის შემდეგ, რაც გასწყვიტა კავშირი ბოლშევიკებთან—წავიდა მთებში და გამოუცხადა ბრძოლა ბოლშევიკებს.

სპარსეთის მთავრობამ და ინგლისელებმა სპარსეთში წინადადება მისცეს ქუჩუკ-ხანს შეკავშირებოდა ის მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ და აღუთქვამდნენ მას შემწეობას.

ამაზე ქუჩუკ ხანმა უპასუხა, რომ ის ხელს უწყობდა ბოლშევიკების სპარსეთში მოსვლას იმისათვის, რომ მათთან ერთად ჩამოეგდო სპარსეთის მთავრობა და გაერეკა ინგლისელები. მაგრამ თავისი მოკავშირეების ბოლშევიკების იმედები გაუცრუვდა და ეხლა მათთან შეწყვიტა ყოველივე კავშირი, რადგანაც იმათ უნდოდათ გაიტანონ სპარსეთიდან მისი სიმდიდრე და სამაგიეროს კი ქაღალდებს გარდა, არაფერს აძლევენ. და ის კი არ გახდება სპარსეთის ხალხის გამცემი.

ის არის მტერი ბოლშევიკების ისევე, როგორც სპარსეთის მთავრობის და სპარსეთის ხელში ჩამგდებ ინგლისელების. „ვ. გ.").

ტების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სექტემბრის 23 დაადგინა მიმართოს პოლონეთის მთავრობას წინადადებით 10 დღით ზავის ჩამოგდების შესახებ. ამასთანავე ომის საჩქაროთ დაბოლოვების მიზნით სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ბევრი დაუთმოს პოლონეთს. წითელ არმიის და ფლოტის ყოველმა მეომარმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვაწარმოებთ ომს არა დაპყრობით, არა ანექსიისა და კონტრიბუციის და არა სამხედრო დიდებისათვის, ჩვენ თავს ვიცავთ და ვიბრძვით ზავისათვის, მშრომელთათვის ვაყენებთ და გვინდა ხალხს ზავი მოუპოვოთ არა სისხლის დღვრით, არამედ დათმობაზე წასვლით. მუშათა და გლეხთა უმაღლესი ორგანო ერთხელ კიდევ ცდის ზამთრის კამპანიის თავიდან აცილებას. ამ გადაწყვეტილების აზრი წითელ არმიისა და ფლოტის ყოველ მხედარს უნდა განემარტოს. ჯარის უფროსებს, კომისრებს და სხვებს ევალებათ აუხსნან ფრონტზე და ზურგში მდგომ ჯარებს თუ რამდენს უთმობს საბჭოთა მთავრობა პოლონეთის ბურჟუაზიულ მთავრობას. ჩვენი მხრივ ყოველ საშუალებას ვღებულობთ ზავის ჩამოსაგდებად. თუ თეთრმა პოლონეთმა უარი სთქვა ზავზე, მაშინ წითელი არმია უკან არ დაიხევს და მუშათა და გლეხთა რუსეთის გადასარჩენად მსხვერპლსაც გაიღებს.

პოლონეთის შემოტევას ჩვენ ღირსეულ პასუხს გავცემთ.

ფრანგული ცნობები

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს დეპუტატთა პალატის საგარეო კომისიის ყ ფილი თავმჯდომარე ჟორჟ ლეიგი. იგი ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრიც არის. მილიერანის კაბინეტის დანარჩენი მინისტრები და მათი ამხანაგები თავის ადგილზე რჩებიან.

გარეშე საქმეთა გენერალურმა მდივანმა პალეოლოგმა, რომელიც მილიერანის ახლო მეგობარია, სთხოვნა შეიტანა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია.

საერთაშორისო ფინანსიური კონფერენცია პარასკევს ბრიუსელში გაიხსნა. ადორი სწერს: „პტი პარიზიენი", სცდილობდა მიესპო ყოველგვარი ორჭოფობა, მან გარკვევით განაცხადა, რომ ერთა სოლიდარობა ლოიალურ დამოკიდებულებას და ხელმოწერილ ხელშეკრულების სისრულეში მოყვანას მოითხოვსო.

მილიერანის წერილი.

შაბათს სენატში ახალმა პრემიერმა ლეიგმა მილიერანის წერილი წაიკითხა. მთავრობის დეკლარაცია მილიერანის სამინისტროს პროგრამის გაგრძელების საჭიროებას აღნიშნავს.

ქარიშხალი და წყალდიდობა.

საფრანგეთის ჩრდილოეთ-ნაწილში ძლიერი ქარიშხალი იყო. სენ-ჟან მორენის რაიონში წყალდიდობამ მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა.

რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკება.

პარასკევს, რიგაში, იოფემ წაიკითხა საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიაც იგი (საბჭოთა მთავრობა) წინანდელ მოთხოვნილებებზე უარს აცხადებს. თანახმად ახალი საზავო მოლაპარაკებისა, საზღვარი კერზონის მიერ აღნიშნულ ხაზის უფრო აღმოსავლეთით მდებარეობს. თანახმად „მატენის" ცნობისა, პოლონეთმა შაბათს უნდა მისცეს პასუხი. საერთო შთაბეჭდილება, იმავე გაზეთის ცნობით ოპტიმისტურია.

პოლონეთის შეტევა ლიტვის წინააღმდეგ.

პოლონეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ ლიტვის ჯარების წინააღმდეგ ამის გამო ლიტვა სთხოვს ხალხთა ლიგას დაუყონებლივ კონფლიქტში ჩაერიოს.

ქ. რეშტის აღება სპარსელების მიერ.

თანახმად თეირანიდან მიღებულ ცნობებისა, რეშტი სპარსელებს აუღიათ. ბოლშევიკებმა ენზელისაკენ დაიხიეს.

საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა.

წითელ ჯარების მდგომარეობა პოლონეთის ფრონტზე და ვრანგელის შეიარაღების უპირატესობა საბჭოთა რუსეთს ძლიერ აფიქრებს და მასში შიშს იწვევს.

მცირე ანტანტა.

პრაგაში მყოფი „პეტი პარიზიენის" კორესპონდენტი სწერს: მასარიკმა განაცხადა, რომ პარიზში ყოფნის დროს მასსა ვენიზელოსის შორის ცენტრალურ ევროპის და ბალკანეთის მოწყობის საკითხის შესახებ სრული თანხმობა ჩამოვარდაო.

ახალი ნატურალური გადასახადი რუსეთში.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნი" იუწყება, რომ საბჭოთა რუსეთში შემოიღეს ახალი ტიპის ნატურალური გადასახადი. გადასახადი დაედება მამულს. გადასახადი ნატურალური ხასიათის იქნება და მას დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება.

ოქროს მრეწველობის დაცემა რუსეთში.

მოსკოვი. სექ. 7. „ეკონომიჩესკაია ჟიზნის" ცნობით, ოქროს მრეწველობა რუსეთში კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ოქროს მადნების სამრეწველოების შრომის ნაყოფიერება უკიდურესობამდი დაეცა. ზოგიერთმა სამრეწველოებმა მუშაობა სრულიად შეწყვიტეს.

სპეკულიაცია საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვის მომრიგებელ საზოგადოებათა ბიულეტენი კითხვას იძლევა თუ რა საშუალებით ახერხებენ საბჭოთა დაწესებულებების მუშები რძის 20 მანეთად ყიდვას, თითო ვაშლის 150 მან. 25 პაპიროსის 600 მანეთი და სხვა. გაზეთი ამ გარემოებას მუშების სპეკულიაციით ხსნის. გაზეთის აზრით უნდა შეწყდეს ყოველგვარი კერძო ვაჭრობა.

მილიერანი და მისი წარმომადგენლები.

შაბათს რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა ინახულა თავისი წინამოადგილენი: ლუბე, ფალიერი და პუანკარე. შემდეგ მილიერანი ეწვია პოლ დე შანელს.

ბრიუსელის ფინანსიური კონფერენცია

შაბათს საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაზე გადასწყდა: კონფერენციის ოფიციალურ ენათ იქნეს ფრანგული ენა. საფრანგეთმა უბრალოთ და ნათლად დახატა მდგომარეობა. გაიხსენა თავისი მთავარი პრინციპები, სახელ დობრ: 1) გადასახადთა აკრეფის აპარატის გაძლიერებით წონასწორობა დამყარდეს სახელმწიფო გასავალსა და შემოსავლის შორის; 2) დაპფაროს არსებული ვალი; 3) შეიცვიროს და შემდეგ შეწყვიტოს მთავრობის მიერ საქონელთა შესყიდვა და დაიწყოს იმ ვალების გადახდა, რომელიც საზღვარგარეთ არის აღებული; 4) რამდენათაც შესაძლებელია შეწყვიტონ საფრანგეთის ბანკისადმი მიმართვა და დ ფაროს ის ვალი, რომელიც სახელმ-

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 სექტემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. სექტ. 25. გროდნოს სამხრეთით ცვალებადი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. კამენეც-პოდოლსკის აღმოსავლეთით 35 ვერსზე ჩვენმა ჯარებმა მრავალი სოფელი დაიკავა. ყირიმის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა აიღო სლავგოროდი, მარიუპოლის დასავლეთით 23 ვერსზე თავგანწირული ბრძოლებია.

მოსკოვი. სექტემბრის 26. გროდნოში ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარები ნემანის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდენ. მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა აიღეს ვოლკოვისკი და ამ ქალაქიდან დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლები. კობრინის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლები გრძელდება. პროსკუროვის რაიონში ქალაქ პროსკუროვთან მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ყირიმის ფრონტზე მარიუპოლის რაიონში ბრძოლა მარიუპოლის დასავლეთით 20 ვერსის მანძილზე სწარმოებს.

ბრძოლა დეზერტირების წინააღმდეგ.

მოსკოვი. სექტ. 25. პანები ჩვენი ძალის წინაშე მუხლს იხრიან ქედს და არა სისუსტეს წინაშე. ამიტომაც ყოველი მარცხი, ან სისუსტე ფრონტზე გვაშორებს წითელ არმიელთათვის სანუკვარ ზავს. ყოველმა მშრომელმა უნდა იცოდეს, რომ ჯარის ზურგს უკან უკანონოთ ყოფნა, ფრონტის დანაკლისი და სამხედრო მთავრობათა ბრძანებების დარღვევაა. ის ამით ხელს უწყობს ფრონტის დასუსტებას, ზავის შორეულ დროისათვის გადადებას და ახალ ტანჯვას უვლენს საბჭოთა რესპუბლიკას. ახლა მთელ მცხოვრებთა აღრიცხვა ხდება, რათა იმ ასაკის ახალგაზრდანი, რომლებიც გაწვეულთა ჯარის ზურგს უკან არ იმყოფებოდნენ. ყოველი მოქალაქე ვალდებულია თვითვე დარწმუნდეს თავის მოწმობის კანონიერებაში. დეზერტირები ვერსად ვერ დაიმალებიან.

მოსკოვი. ტროცკის ბრძანება ჯარისა და ფლოტისადმი. სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, წითელ არმიელთა და მშრომელ ყაზახთა დეპუტა-

ჟენევის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი

VIII. მეორე ინტერნაციონალი და ბოლშევიზმი.

წინა წერილში მე გავეცანი მკითხველებს ჟენევის კონგრესის ძირითადი რეზოლიუციები. დამახასიათებელი თვისება ყველა ამ რეზოლიუციებისა არის მათი დადებითი ხასიათი. აქ არ არის არც პოლემიკა, არც საავიტაციო ძახილი, არც დემაგოგიური დაპირებანი. კონგრესი წმინდა საქმიან, თითქმის აკადემიურ ფორმაში სახავს ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებისათვის მთავარ სახელმძღვანელო ხაზებს, მიუჩნავს იმათ მოღვაწეობას საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკის სფეროში და მიუთითებს უახლოეს მიზნებზე მათ სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ შემოქმედებისათვის.

ამ გზით შეიტანა ჟენევის კონგრესმა საჭირო სინათლე საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ამიერიდან სოციალისტურმა პარტიებმა და ყველა ქვეყნების მუშათა მასებმა სისწორით იციან, თუ რას აძლევს მათ მე-2 ინტერნაციონალი და რას მოითხოვს ის მათგან.

დაპირდაპირება ერთმანეთისადმი ლონდონსა და მოსკოვის, 2 სა და 3-ე ინტერნაციონალისა ღებულობს საკმაო გარკვეულობას. უფრო კონკრეტიული, ხელსახები და ყველასათვის გასაგები ხდება.

ამ დაპირდაპირების დასადასტურებლად კონგრესისათვის არ იყო საჭირო დაეკარგა დრო „საბჭოთა" რეჟიმის კრიტიკაზე, ბოლშევიკებთან პოლემიკაზე. და მართლაც კონგრესზე არც კი ისმოდა ანტი ბოლშევიკური სიტყვები—ისეთი გრძნობა იყო, რომ ამგვარი სიტყვები უადგილონიც კი იქნებოდენ ამ ყრილობაზე, რადგანაც აქ ყველანი, ოთხი ინგლისელი დელეგატის გამოკლებით ერთნაირად აფასებდენ ბოლშევიზმს და მის როლს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში...

მაგრამ კონგრესს არ შეეძლო სრულიად მხარი აექცია ბოლშევიკურ რუსეთის საკითხისათვის, ვინაიდან წინა კონფერენციაზე გადაწყვეტილი იყო რუსეთში საერთაშორისო საანკეტო კომისიის გაგზავნა. როგორც ვიცით, ეს დადგენილება არ იქმნა სისრულეში მოყვანილი—მისი ერთად ერთი დადებითი შედეგი იყო მგზავრობა რუსეთში ინგლისის სოციალისტურ დელეგაციისა ტომას შოუს მეთაურობით. ამ დელეგაციის ანგარიში აქამდის არ არის გამოქვეყნებული პრესაში. იმ დასკვნებს, რომლებიც გამოიტანეს ინგლისის დელეგატებმა რუსეთის წრეების გაცნობიდან, სხვა და სხვა გაზეთები სხვადასხვანაირათ აქვეყნებდნენ. და ბუნებრივია, რომ მთელ კონგრესს სურდა გაეგონა ინგლისელებისაგან გადმოცემა მათი შთაბეჭდილებებისა და დასკვნების. წარმოუდგენელი იყო, რომ ტომას შოუს, კონგრესის თავმჯდომარეს, არ გაეზიარებინა მისთვის თავისი დაკვირვებანი, მით უმეტეს, რომ კონგრესმა იცოდა, თუ რა სერიოზულათ მოეკიდა ინგლისის დელეგაცია თავის მიზანს, თუ როგორ გაფაციცებით აგროვებდა იგი მასალებს, რომლებიც ახასიათებდნენ საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას, და როგორ ბრაზობდნენ ბოლშევიკები იმაზე, რომ ინგლისელები არ დაკმაყოფილდნენ პარადებით, საზეიმო სპექტაკლებით და ძვირფას ბანკეტებით და მოისურვეს შეხვედრა ნამდვილ მუშებთან და გლეხებთან.

ამგვარათ, კონგრესი მოუთმენლათ ელოდა თავის თავმჯდომარის მოხსენებას რუსეთის მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ტომას შოუ მტკიცეთ სდუმდა. კულუარებში ის ასე უხსნიდა ამხანაგებს თავის თავშეკავებულობას:

— დელეგაციის მოხსენება ჯერ პიდევ არ არის მზათ. ჩემი გამოსვლა გამოიწვევდა კამათს.. არ არის საჭირო დადებით მუშაობისათვის თავის დანებება პოლემიკის გულისათვის...

მაგრამ კონგრესის სხდომების უკანასკნელ დღეს ტომას შოუმ ვეღარ მოითმინა...

სისწორით არ მახსოვს რა მიზეზით—რომელღაც ინგლისელმა დელეგატმა მოიხსენია რუსეთში განხორციელებული პროლეტარიატის დიქტატურა და სთქვა, რომ საჭიროა გავურბოდეთ რუსეთელ ამხანაგებთან კონფლიქტებსაო. ამისი სიტყვის შემდეგ წამოდგა შოუ.

ეს უკვე ხანში შესული მუშაა, მაღალი ტანის, სიმშვიდით და დაჯერებული ძალით, აღსავსე სახით, მჭექარე ხმით,

— თქვენ გეუბნებიან რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ—ასე დაიწყო მან თავისი სიტყვა—ამას გეუბნებათ თქვენ ხალხი, რომლებიც არ იცნობენ რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას. ეს ხალხი—ან თითონ არიან მოტყუებულნი, ან გატყუებენ თქვენ. მე გეუბნებით თქვენ, რუსეთში არ არის პროლეტარიატის დიქტატურა! არ არის არსად ქვეყანა, სადაც მუშები ისეთ საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებულნი, როგორც რუსეთში! არ არის მეორე ქვეყანა, სადაც მუშები განიცდიდენ ასეთ გაჭირვებას, ასეთ უხეშ ექსპლოატაციას, ყოველნაირათ დაბეჩავებულნი, მოკლებულნი ყოველგვარ ელემენტარულ უფლებებს, გაძარცვულნი უტყვ, სიმშილით მოხრჩობილ, შიშისაგან მთრთოლარე მონებათ, როგორც ეს რუსეთშია.

მთელი დარბაზი აღელვებული და აღშფოთებული რუსეთის მუშების ამგვარ მდგომარეობით, სულ განაბული უსმენდა შოუს მძიმე, რისხვით აღსავსე სიტყვებს:

თქვენ გეუბნებიან—რუსეთში მოქმედებს მუშათა მთავრობა, ეს—სიცრუეა! მე ეხლახან დავბრუნდი რუსეთიდან და დავამოწმებ თქვენს წინაშე, რომ რუსეთში მოქმედებს შეიარაღებულ უმცირესობის დიქტატურა, პულემიოტების დიქტატურა. აბა უარჰყონ ეს იმათ, ვინც გირჩევთ თქვენ, სოციალისტებს, დაახლოვების ძიებას ამ ერთ მუჭა მილიტარისტებთან, რომლებმაც უფსკრულის პირს მიიყვანეს თავისი ქვეყანა და ხალხი.

— ჩვენ ვერ მოვასწარით ყველაფრის გაგება რუსეთში, განაგრძობს ორატორი, სცდილობდნენ ჩვენს მოტყუებას, სურდათ დაემალათ ჩვენგან სიმართლე, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს,—ზოგი რამ ჩვენ გავიგეთ, და მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმის შესახებ, რაც ჩვენ ვნახეთ ჩვენი საკუთარი თვალებით, თუმცა ჭეშმარიტება, ალბათ, ამაზე ბევრათ უფრო ცუდი იქნება... თქვენ გსურთ გაიგოთ, თუ როგორია მუშების მდგომარეობა რუსეთში? ამ ქვეყანაში მუშები მოკლებულნი არიან სიტყვის თავისუფლებას. იმათ არ შეუძლიათ თავის მოყრა თავის საქმეების შესახებ თავისუფლათ მსჯელობისათვის! ისინი მოკლებულნი არიან კავშირების თავისუფლებას. იმათ უქადის სასტიკი სასჯელი გაფიცვის გზით თავის მდგომარეობის გაუმჯობესობის ცდისათვის.

მაგრამ შოუს სურს იყვეს სამართლიანი ბოლშევიკების მიმართ.

— მე მზათა ვარ იმათ სიტყვებს დავუჯერო—ამბობს ის—რომ რუსეთის საშიში მდგომარეობა — გამოწვეულია ბლოკადისაგან და ომებისაგან, რომლებიც მათ თავს მოახვია ანტანტამ. მე მზათა ვარ დავუჯერო ბოლშევიკებს, რომ მათ მშვენიერი განზრახვები ჰქონდათ. მზათ ვარ დავუჯერო, რომ მათ გააკეთეს ზოგი რამ ხალხის განათლების საქმეში... მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ერთი რამის დავიწყება, ერთი რამ არ შეგვიძლია ჩვენ ვაპატიოთ ბოლშევიკებს: ის, რომ მათ მოსპეს თავისუფლება ქვეყანაში და დაამყარეს ტირანია, უფრო ცუდი, ვიდრე ის, რომლისაგანაც იტანჯებოდა რუსეთის ხალხი ცარიზმის დროს.

— Heor! Heor! (უსმინეთ! უსმინეთ!) —აწყვეტინებენ ორატორს ინგლისის სექციის სკამებიდან წამოძახილებით.

შოუ მიდის იმ მაგიდასთან, რომელთანაც ის იჯდა, როგორც კონგრესის თავმჯდომარე, და იღებს პორტფელიდან გაზეთს.

— ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ გაგვეგო სიმართლე რუსეთის მდგომარეობის შესახებ—ამბობს ის: ჩვენ ვკითხავდით რუსეთის მუშებს და ჩვენ გავიგეთ ბევრი რამ მნიშვნელოვანი. ყველაზე მეტად ჩვენ გვიშველეს მუშებმა მოსკოვის მბეჭდავთა კავშირიდან—რუსეთის მუშების ყველაზე უფრო შეგნებულმა ნაწილმა. და აი, ინგლისში დაბრუნებისას, ჩვენ გავიგეთ, რომ საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა მუშები, რომლებთანაც ჩვენ ვსაუბრობდით და საპყრობილეში ჩაჰყარა. ისინი სხედან ციხეში ეხლაც—რუსეთის მუშები, იმაში დამნაშავენი, რომ იმათ უამბეს ინგლისის მუშებს სიმართლე იმ საშინელებების შესახებ, რომლებიც ხდება რუსეთში!

შოუს თავის წინ უჭირავს გაზეთი, რომელშიც მოთავსებულია ცნობა მოსკოვის მბეჭდავთა მუშების დატუსაღების შესახებ და, მიუბრუნდება რა ამხანაგს, რომელიც ლაპარაკობდა რუსეთში „პროლეტარიატის" დიქტატურის შესახებ, ათავებს თავის სიტყვას.

— რა სახელს დაარქმევთ თქვენ ბოლშევიკურ მთავრობის ამგვარ მოქმედებას? მე მაქვს მხოლოთ ერთი სიტყვა მის დასახასიათებლათ. ეს სიტყვაა—სირცხვილი, ზიზღი!

საჭირო აღარ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა კონგრესზე ეს მოულოდნელი გამოსვლა

ამ სიტყვის შემდეგ კონგრესზე უკვე აღარავინ არა ლაპარაკობდა—არც პროლეტარიატის დიქტატურაზე რუსეთში, არც რუსეთის მმართველ პარტიასთან დაახლოვების შესაძლებლობაზე.

* *
*

კონგრესმა დაამთავრა თავისი მუშაობა. აღმასრულებელი კომიტეტი უკვე ამორჩეულია: თავმჯდომარე მზათ არის დახუროს შუაღამემდის გაჭიანურებული სხდომა. მაგრამ ის მაინც სთხოვს კონგრესს რამდენიმე წუთით ყურადღებას:

თქვენ მოგმართავთ ჩვენი ოჯახიდან უხნიერესი პირი—რომელსაც ჰქონდა ბედნიერება პირველ ინტერნაციონალის რიგებში ბრძოლისა.

ესტრადაზე ადის თეთრწვერიანი მოხუცი, რომელსაც კონგრესი ტაშისცემით ხვდება.

ეს—ედუარდ ბერნშტეინია.

— ამხანაგებო—იწყებს ის: ის, რაც მსურს თქვენ მოგაგონოთ, მოხდა დიდი ხნის უკან, ჩვენი მოძრაობის გარიჟრაჟზე. ჩვენ ვიყავით მაშინ ყველანი ერთად, ჩვენ გვეგონა, რომ არ იყო ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო ჩვენი ძმური კავშირის დანგრევა. მაგრამ 1871 წ. იფეთქა ომმა გერმანიასა და საფრანგეთს შორის, და როცა ის დამთავრდა, ჩვენ დავინახეთ, რომ ინტერნაციონალი უკვე აღარ არსებობდა, მაშინ პირველად განვიცადე მე ის სულის ტკივილი, რომელსაც მეორეთ მე თქვენთან ერთად განვიცდი. დაიშალა პირველი ინტერნაციონალი ..

ჩვენი ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბუნტარული,—ჩვენ იმათთვის ძლიერ ზომიერები ვიყავით, ისინი ბრალსა გვდებდნენ ჩვენ ოპორტიუნიზმში, მუშათა კლასისთვის ღალატში. ისინი სცდილობდნენ ჩვენი ინტერნაციონალის სათვის დაეპირდაპირებინათ თავისი ინტერნაციონალი*) მაგრამ იქ, სადაც არის ორი ინტერნაციონალი—იქ არ არსებობს არც ერთი ინტერნაციონალი. უნაყოფო შინაურ ბრძოლაში დაიხარჯა ჩვენი ძალები. ეს დიდი ხნის წინად იყო, მე კიდევ ახალგაზრდა ვიყავი იმ დროს და მე მეგონა, რომ ყველაფერი დაღუპულია, რომ აღარ აღსდგება ის საქმე, რომელშიც ჩვენ ვხედავდით კაცობრიობის ხსნასა. მაგრამ გაიარა 15 წელმა, და 1889 წ. წ. ნანდვილზე მაღლა აფრიალდნენ ინტერნაციონალის დროშები. მე მივხვდი მაშინ, რომ უნიადაგო იყო ჩემი შიში, რომ ჭეშმარიტად უკვდავია ჩვენი იდეა.

— განა ამასვე არ განვიცდით ჩვენ ეხლა? ისევ საშინელი ომი... ომის მერე—ჩვენი რიგების დაქსაქსვა... კვლავ გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ ბნელი, ანარქისტული ძალები... ძველი საყვედურები, კარგად ნაცნობი ბრალდებები... ისევ ორი ცენტრი და კვლავ ეპარება გულში ზოგიერთებს ეჭვი...

— და ამ ჟამს, მე, მოხუცი, რომელმაც ერთხელ უკვე განვიცადე ყოველივე ეს, გეუბნებით თქვენ, ჩემო ახალგაზრდა ამხანაგებო: თავიდან აუშორებელია ისტორიის კანონები და ცოცხალს, შემოქმედ ძალებს ვერაფერი ვერ გაანადგურებს! ერთია მუშათა მოძრაობა მსოფლიოში და ერთი იქნება ინტერნაციონალი! ჩვენ მხარეზეა სიმართლე, ჩვენ მხარეზეა ცხოვრება—და ჩვენი გამარჯვება აუცილებელია.

— მეტად მძიმე კრიზისს განიცდის ჩვენი მოძრაობა და მე, რომელმაც უკვე ძლიერ ბევრი ვნახე, შეიძლება ვერ ვნახო ამ კრიზისის ბოლო. მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენ გექნებათ ბედნიერება ნახოთ გამოჯგვებული რაზმები მუშათა კლასისა, რომლებიც კვლავ შეიკრიბნენ ერთი დროშის ქვეშ, ჩვენი ძველი დროშის—სოციალიზმისა და დემოკრატიის ქვეშ. თქვენ განიცდით ამ სიხარულს და მისი ლოდინი დღეხანს არ მოგვწყდებათ!

ედუარდ ბერნშტეინის ამ სიტყვით დამთავრდა ჟენევის კონგრესი.

ვლ. ვოიტინსკი.

*) ედ. ბერნშტეინი ლაპარაკობს ბაკუნისტებისა და მარქსისტებს შორის ბრძოლაზე.

წიფოს მართებს ამ დაწესებულების. ამ მოხსენებაში ნაჩვენებია გადასახადის აპარატის გაძლიერების მნიშვნელობა.

გერმანული ცნობები

ანტანტა და გერმანია.

(დასაწყისი არ მიგვიღია) გიუმ აღნიშნა, რომ გერმანელ 470.000 მემადაროთაგან, 128,000 მუშა მუშაობს ანტანტისთვის, რომელსაც ყოველ დღიურათ 77 მატარებელი ნახშირი ეძლევა. საფრანგეთის ოფიციალური ცნობების თანახმად, საფრანგეთი ამ ჟამათ იღებს 90 პროც. იმისას, რასაც მშვიდობიანობის დროს იღებდა, რაც ინგლისის მიერ მიღებულზე ბევრად მეტს შეადგენს. ნახშირის ასეთი რაოდენობის ყოველდღიურმა გაზიდვამ გერმანელ მემადაროეთა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია, რომელთა შორის შრომის ინტენსივობა დაეცა და სამხედრო ოკუპაციით კი შეუძლებელია ამისი აწევა, როგორც ეს საარის ოლქში მოხდა. ამ ოლქში, მიუხედავათ მუშათა 25 პროც. მომატებისა, ნახშირის დამუშავება 35 პროც. დაეცა. გიუ მიმართავს საფრანგეთს და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი გერმანელ მემადაროეთ საშინელ მდგომარეობაში არ ჩააგდებს. ევროპას მოელის საშინელი ზამთარი, რადგანაც გერმანია არ არის თავის მრეწველობის ბატონ პატრონი.

უმუშევრები საქსონიაში.

საქსონიაში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა. ქალ. პლაუენის მცხოვრებთა მეხუთედი უსაქმოთ არის, აქედან 5 ათასზე მეტი უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც უმუშევრად არის.

ახალი კანონი.

პრუსიის მთავრობას სურს დაუყონებლივ გაატაროს სეიმში არჩევნების ახალი კანონი

ბრიუსელის კონფერენცია და ვერსალის ხელშეკრულება.

ვოლფის სააგენტო ბეჭდავს საფრანგეთის განცხადებებს, იმის შესახებ, რომ ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე დელეგატებს სურთ გააკეთონ სასარგებლო საქმე და ამიტომ ერიდებიან იმ [illegible] საკითხებს, რომლებიც გამოიწვევს კამათს, და იმედი აქვთ, რომ გერმანიის დელეგატებიც ამ მიმართულებით იმუშავებენ. მეორე მხრით საფრანგეთის დელეგაციამ მტკიცეთ გადასწყვიტა არ დაუშვას ვერსალის ხელშეკრულების შინაგანი აზრის შეცვლა.

ზარალის ანაზღაურება.

ზარალის ანაზღაურების კომისია იუწყება, რომ გერმანიამ მთელი ტონაჟი მოიტანა. მან მოკავშირეებს გადასცა 2 მილიონი ტონი.

პოლონეთი და ლიტვა.

ვარშავიდან იუწყებიან: პოლონეთ-ლიტვის საკითხი ჯერ არ გადაწყდება, რადგან ლიტველები მოითხოვენ, რომ პოლონელებმა აღიონ მათ მიერ საბჭ. რუსეთთან დადებული ხელშეკრულება.

ქემალ ფაშა და ოსმალეთი.

ჟურ. „დე-დებას" კონსტანტინოპოლელი კორესპოდენტი იუწყება, რომ მთელ ანატოლიაში ქემალისტების წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება. მუსტაფა ქემალს დასაყრდენობი არა აქვს, ზამთარში მისი მდგომარეობა გაუარესდება. ცოტა ძალა დასჭირდება კონსტანტინოპოლის მთავრობას, რომ მცხოვრებლები მორჩილებაში იყოლიოს.

მოსავალი საფრანგეთში

მარსელიდან მოსული ცნობით რთველი თითქმის დასრულდა. წარსულ წელთან შედარებით ყურძნის მოსავალი ოდნავ უკეთესია. (10%) მაგრამ ღვინით ბევრად უკეთესია. გვალვებმა ამას ხელი შეუწყო და ყურძენი კარგათ დამწიფდა.

მილიერანის აზრი კონსტიტუციაზე

ბურჟუასა და ლეოპიტის მისალმებაზე მილიერანმა უპასუხა და სხვათა შორის სთქვა: აუცილებლად მიმაჩნია კონსტიტუციის გადასინჯვაო.

ვრანგელის გამარჯვება

ვრანგელის გამარჯვება გრძელდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

სომხეთი და ამერიკის ნოტა.

სტამბოლი. 12 სექ. „მონიტერ ორიენტალი" შემდეგ ცნობას ბეჭდავს: რომში მყოფ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი შეეკითხა სომხეთის წარმომადგენელს, თუ როგორ უყურებს სომხეთი ამერიკის ნოტას. სომხეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სომხეთი საქართველოსთან მეგობრულ განწყობილებაში არისო.

ინგლისური გაზეთი საქართველოზე.

კონსტანტინოპოლი. 15 სექტემბერი. ინგლისური გაზ. „ახლო აღმოსავლეთი" საქართველოს წერილს უძღვნის. წერილის ავტორი იგონებს რა ბათომის საქართველოზე გადაცემას, აღნიშნავს, რომ საქართველოში სრული წესიერება არის დამკვიდრებული. შემდეგ ავტორი სწერს: საბჭოთა წარმომადგენლობის ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური პროპაგანდა გაიზარდა. მაგრამ ბოლშევიკების აგიტატორებს ყოველ დღე იჭერენ პროკლამაციებით და დიდძალი თანხით. დაჭერილ აგენტებს კავკავში ასახლებენ. ქართველები დიდი ენერგიით და დაკვირვებით იცავენ თავის დამოუკიდებლობას და სახელმწიფოებრიობას. საქართველომ კიდევ მძიმე და ეკლიანი გზა უნდა განვლოს ეკონომიურ ძალების მოსაწყობად. მაგრამ საქართველოს მთავრობა აქედანაც გამარჯვებული გამოვა. ის ფაქტი, რომ საქართველო ამ ჟამად ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ყველა სხვა რუსეთის ტერიტორიაზე ახლად დაარსებული სახელმწიფოებრივი ერთეული, იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელები ბრძნულად მოქმედებენ. საქართველო ყოველთვის უნდა ელოდეს დახმარებას ინგლისის მხრივ, რათა იგი გაძლიერდეს და გადალახოს მან ის დაბრკოლებანი, რომლებიც ელობებიან მას წინ. საქართველო თვით დარწმუნდება, რომ დიდი ბრიტანეთი არ ულალატებს თავის გზას და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მას.

ანტიბოლშევიკური ფედერაცია.

„იზვესტია" იუწყება: საფრანგეთსა და უნგრეთს შორის სწარმოებს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობისათვის დაბრკოლებების შექმნის შესახებ. მილიერანი უნგრეთს ფართო ტერიტორიას დაჰპირდა დნესტრის და დრავას შუა. მილიერანის მიზანია: გააერთიანოს პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, საბერძნეთი და შემდეგ იტალიაც ანტი-ბოლშევიკურ ფედერაციაში.

საბჭოთა ჯავშნოსნის დაღუპვა კრონშტადტში.

ჰელსინგფორსი. სექტ. 10 მოსკოვიდან მოსული ცნობით კრონშტადტთან ზღვაში დიდი აფეთქება მოხდა. დაიღუპა ჯავშნოსანი და 130 მეზღვაური.

შანხაი. სექტ. 3. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩინეთის მთავრობამ აღმოაჩინა, რომ იტალიის მუშებს მალულად ჩინეთის მცხოვრებლებზე გასასყიდათ იარაღი შემოჰქონდათ, ამის გამო ჩინეთის მთავრობამ პროტესტი განაცხადა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის მუშათა კლუბში თფილისის კომიტეტი იწვევს ყველა თავის ორგანიზაციების და პარტიის წევრების სხდომას. სხდომას დაესწრება ევროპის სოციალისტური დელეგაცია.

◆ **დღეს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა. ვთხოვთ ამხანაგებს თავის დროზე მოვიდნენ.**

◆ **თფ. სოც. დემ. ქალთა ორგანიზაციის ბიურო** თაოსნობით სამშაბათს 28 სექ. ნაშუადღევს 4 ს, სახალხო სახლში დანიშნულია ქალთა მიტინგი, რომელსაც დაესწრებიან ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრები. ამხ. ქალებს დაბეჯითებით სთხოვენ დანიშნულ დროზე ცოტა ადრე მობრძანდნენ.

◆ **პურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.** 24 სექტემბერს, კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ხელაძე, დობორჯგინიძე, ჩხენკელი და ბერეჟიანი, დაათვალიერა სასურსათო სამინისტროს საწყობი, წისქვილები და ფურნეები. კომისიის მიზანი იყო გამოეკვლია მიზეზი იმისა, თუ რისთვის ცხვებოდა ქალაქში უვარგისი პური. კომისიამ ბევრი დეფექტები აღმოაჩინა ხსენებულ ადგილებში. ამის გამო კომისია მოხსენებას წარუდგენს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, რის შემდეგ საბჭო გაარჩევს და შეიმუშავებს ზომებს, პურის გასაუმჯობესებლად.

◆ **მუშათა დელეგაცია.** ცენტრ. პროფ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს მუშათა დელეგაციის რუსეთში წასვლის ნებართვის უარი და დაადგინეს. საბჭოთა რუსეთის მთავრობის ორგანოებს აუარონ გვერდი და აუწყონ რუსეთის რესპუბლ. ცენტრალური პრ. კავშირთა საბჭოს, რომ საბჭ. მთავრობამ უარი განუცხადა დელეგაციას რუსეთში შესვლაზე,—და რუს. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს წინადადება მისცეს გამოგზავნონ საქართველოში დელეგაცია პროლეტარიატის საქმიანობის გასაცნობათ და ურთიერთშორის დამოკიდებულების აღსადგენათ. საბჭომ დაადგინა მიმართოს ინტერნაციონალს პრ. კავშირთა პროტესტით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამ ფაქტის შესახებ აუწყოს საქართვ. ყველა ორგანიზაციას და ფართე მასას. (სდს.).

◆ **კანონების გადასინჯვა.** სექტ. 25 იუსტიციის მინისტრ რ. არსენიძის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა კანონების გადამსინჯველ კომისიისა. კომისიამ მიიღო კანონპროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა დაბადების, ქორწინებისა და სიკვდილის შესახებ. შემდეგ სხდომაზე განიხილავენ სამოქალაქო ქორწინებასა და ეკლესიის სახელმწიფოდ 6 გამოყოფის კანონპროექტებს. ყველა ამ კანონპროექტს მთავრობის მოწონების შემდეგ იუსტ. მინისტრი დამფუძნებელ კრებაში შეიტანს.

◆ **ერობათა ცხოვრება.** ერობათა კავშირის კომიტეტი შეეკითხა სამაზრო ერობებს თუ რამდენი მანუფაქტურა ტყავი, მედიკამენტი, ვენახის საწამლავი მასალა და სხვა დასჭირდებათ მათ დაახლოვებით მიმდინარე წლის განმავლობაში.

◆ **არჩევნები საქ. სავ. პალატაში.** სავაჭრო სამრეწველო პალატა შეუდგა შეცვლილ წესდების მიხედვით დამატებითი არჩევნების წინასწარ მუშაობას. სულ უნდა არჩეულ იქმნას 21 წევრი. რესპუბლიკა 12 საარჩევნო ოლქად არის გაყოფილი. [illegible] არჩევნები მოხდება თფილისსა და ბათომში, გორის და დუშეთის მაზრებში. არჩევნები ნოემბრისათვის უნდა დასრულდეს.

◆ **სახელმწიფო შემოსავალი ივლისის განმავლობაში.** თანახმად რესპუბლიკის 16 ხაზინიდან წინასწარ მიღებულ ცნობებისა ივლისის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადის სახით სულ 122.260.264 მან. შემოსულა. ამ თანხიდან პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა 4.444.808 მან. არა პირდაპირი გადასახადის სახით 101,238,793 მან. საბაჟო გადასახადის სახით კი 48,592,389 მანეთი. ივნისის თვესთან შედარებით ივლისში სახელმწიფო შემოსავალს 25.882,891 მანეთით მოუმატია. ასეთი გადიდება სახელმწიფო შემოსავალისა პირველად ყოვლისა არის შედეგი ბათომის ოლქის შემოერთებისა, ვინაიდან მხოლოდ ბათომის ოლქის ხაზინაში შემოსულა ამ თვის განმავლობაში 16.942.976 მან. ცალკე ხაზინებიდან სახელმწიფო შემოსავალი შემდეგი წესით ნაწილდება: პირველ რიგში სდგას თფილისის ხაზინა (81.181.754 მან.) შემდეგ ბათომის, სოხუმის, ქუთაისის, ფოთის და სხვა. პირდაპირი ისე როგორც არა პირდაპირი გადასახადის სახით მეტი შემოსულა თფილისის ხაზინაში, საბაჟო გადასახადი კი ბათომის ოლქში.

◆ **ქართული სამუსიკო სკოლა.** რადგანაც რიცხვი ახალ მოწაფეთა მეტად დიდია, ამისათვის დაინიშნა დამატებითი გამოცდები: სიმებიანი ინსტრუმენტების—28 სექტ. სიმღერის კლასში—29 სექტ., როიალის კლასში—29 და 30 სექტ. გამოცდები იწყება $4\frac{1}{2}$ საათ. სწავლა იწყება 1 ოქტომბერს.

◆ **მეორე რაიონული კოლექტივის** წევრებს, ნაძალადევის მუშათა კლუბში ევროპის სოციალისტური დელეგაციის თანდასწრებით პარტიულ საზეიმო სხდომაზე დასასწრები მანდატები შეუძლიან მიიღონ რაიონის ბიუროში 9—12 ს. და 5—7 საათამდის.

◆ **მესამე რაიონულ კოლექტივთან** არსებული მიწის დამრიგებელი კომისია აცხადებს მიწის მიმღებთა საყურადღებოთ, რომ კომისიას აქვს იღებული ქალაქის თვითმართველობიდან ავლაბრის დაჩა, რომელიც ყველა მსურველთ დაურიგდება. მიწის აღების მსურველთა ჩაწერა დაიწყება 27 სექტემბრიდან და გაგრძელდება ხუთ ოქტომბრამდე. პირობების გაგება და ჩაწერა შეიძლება ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში კახეთის ქ. № 1 საღ. 5—7-დის ყველ დღე.

◆ **იტალიის მომღერლები.** სახელმწიფო თეატრის სამმართველო იტალიიდან მომღერალ ქალს კოჩისს იწვევს. (ს. დ. ს.).

◆ **დახმარება ახალქალაქის ერობას.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა, რათა ქალაქის ერობას 100 მილიონ მან ფონდიდან საჭირო სესხი მიეცეს (ს. დ. ს.).

◆ **საქართველოს კონსტიტუცია.** დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიამ ევროპის სოციალისტთა დელეგაციის შეხვედრის მოწყობ კომისიას გადაუგზავნა ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი საქართველოს კონსტიტუციის პროექტი დელეგაციის წევრებისათვის გასაცემად.

◆ **სახელოვნო საბჭოს შუამდგომლობა** სახელოვნო საბჭომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა საქართველოს საზღვრებიდან მუსიკალურ ინსტრუმენტების გატანის აკრძალვის შესახებ.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** დახმარება ელექტრონის სადგურებს. ვაჭრობა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ე. ნ. ალშიბაიამ ფინანსთა მინისტრს მოხსენება გაუკეთა ელექტრონის სადგურებისათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ. ამავე დროს მან მოახსენა მინისტრს ტეხნიკურ კომიტეტის დადგენილება, რომელიც თფილისში არსებულ ელექტრონის სადგურების სახელმწიფო ერივ მნიშვნელობის აღიარებას ეხება. ფინანსთა მინისტრმა ამის გამო განკარგულება გასცა ეკონომიურ შეძლების დაგვარად დახმარება ელექტრონის სადგურებს, რათა მათ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ვითარდებოდეს.

◆ **ჯილდოს განაწილება** წყალსადენის მუშების დადგენილებით ცენტრობანკიდან მიღებული საჩუქარი 20.000 მანეთი განაწილებულ იქნა ამ რიგად: 5.000 მანეთი მუშებს, 5 000 მ. ამ მუშათა ბიბლიოთეკას და 10.000 კი გადაეცა წყალსადენის სახელოსნო ადმინისტრაციის კულტურულ განმანათლებელ მიზნებისათვის (სდს.).

◆ **სავალიუტო ოპერაცია.** ჩვენ გვთხოვენ გავაცხადოთ: კვირას გამოქვეყნებული ცნობა, იმ ბანკების სიის შესახებ, რომლებსაც უფლება ეძლევათ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა შემთხვევით იყო სია იმ ბანკებისა, რომელთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა, ამ დღეებში გამოქვეყნდება.

◆ **ხულევის (რედუტ კალე) შუამდგომლობა.** ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ქალაქ ზუგდიდის მაზრიდან გამოყოფისა და ახალსენაკთან შეერთების შესახებ შუამდგომლობა აღძრეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა გადაუგზავნა დამფუძნებელ კრების თვითმართველობის კომისიას, სადაც რესპუბლიკის ადმინისტრატიულად გამიჯვნის ახალი პროექტი მუშავდება.

◆ **სასურსათო საქმე.** სასურსათო განყოფილების ცნობით ერთმა გერმანიის ცნობილმა ფირმამ წინადადება შემოიტანა საქართველოში გერმანულ საქონლის და მათ შორის სხვადასხვა ინსტრუმენტების, ჭურჭლეულობის, [illegible] და სხვათა შემოტანის შესახებ.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტრო.** თანახმად სატყეო განყოფილების საბჭოს სხდომის (14 სექტ.) დადგენილებისა, შორაპანის სატყეო გაყოფილ იქნა ორად: შორაპანისა და ჭიათურის სატყეოდ, რომელი დადგენილებაც დამტკიცებულ იქნა მიწად-მოქმედების მინისტრიდან 18 ამ სექტემბერს.

◆ **საექიმო სასანიტარო სტატისტიკა.** ერობათა კავშირის კომიტეტმა აცნობა ყველა ერობას, რომ ცენტრალურ სტატისტიკურ საბჭოს მიერ ერობათათვის და ქალაქებისთვის საექიმო სასანიტარო სტატისტიკის მისახედნად სათანადო ბლანკები არის შედგენილი, ერობათა კავშირის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ იგი მიიღებს თავის თავზე ერობათათვის საჭირო ბლანკებს და ბეჭდავს სამაზრო ერობების ანგარიშზე.

◆ **მარტყოფ იორის სატყეო.** ტყის საბჭოს სხდომაზე ტყეთა ინსპექტორმა ქურდიანმა გააკეთა მოხსენება მარტყოფ-იორის სატყეოს შესახებ, სადაც ამჟამად ტყის დამამზადებელი მუშაობა სწარმოებს. მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა: ტყის დამამზადებელი პარტია მუშაობის ნაყოფიერებისათვის გაიყოს ორ ჯგუფად და აიკრძალოს ტყეებში საქონლის შეშვება. ტყის ცეცხლისაგან დასაცავად ტელეფონების გაყვანა არის განზრახული.

◆ **საქართველო და აზერბეიჯანი.** აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და ფინანსთა კომისარმა გუსეინოვმა და საქარ. წარმომადგენელმა აზერბეიჯანში ალშიბაიამ ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და დიდხანს ესაუბრეს მას სატრანზიტო-სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის უნდა დაიდოს. ყველა საკითხებში მოხდა შეთანხმება. გუსეინოვი და ალშიბაია სექტ. 25 ბაქოში გაემგზავრენ, სადაც ხელს მოაწერენ სატრანზიტო-სავაჭრო ხელშეკრულებას.

ნაფიც ვექილთა საბჭოსთან, საოლქო სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ქუჩა) 27 სექტემბრიდან იხსნება ნაფიც ვექილთა კონსულტაცია, რომელიც ყოველ დღე დილის 10 საათ. 1 საათამდე მსურველთ იურიდიულ რჩევას მისცემს. ღარიბებს რჩევა უფასოდ მიეცემათ. განზრახულია მახლობელ დღეებში გახსნან კონსულტაცია მუშათა სახლში.

◆ **რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა** კავშირმა მოაწყო ავტომობილებით მიმოსვლა ქ. თფილისის შიგნით და გარეთ. ცნობების მიღება შეიძლება მისამართით: პლეხანოვის პროსპექტი № 139. ტელეფონი 18—89.

◆ **რევიზია ბორჩალოში.** თანახმად მთავრობის აგვისტოს 26 დადგენილებისა სექტემბრის 25 ბორჩალოს მაზრაში მიემგზავრება საგანგებო კომისია იქ არსებულ სახელმწიფო დაწესებულებათა სარევიზიოდ. კომისიაში შედიან შინაგან საქმეთა, მიწად-მოქმედების, სამხედრო და ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლები. კომისიის სათავეში სდგას სასამართლოს წევრი კობიაშვილი.

ეროვნული გუნდი

(წერილი პირველი).

ქართველ ხალხს დიდი ხანია მოთხოვნილება და სურვილი აქვს ერთი რიგიანი ეროვნული გუნდი მაინც არსებობდეს მის ტერიტორიაზე. ეს მოთხოვნილება და სურვილი არ ახალია, ძველია, მაგრამ მიუხედავად მრავალგზითი ცდისა დღემდის საქმეს თავი ვერ დაედგა. უპირველესი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა უნდა ვეძიოთ ჩვენ გადაგვარებაში, რომელიც გვიანდერძა ძველმა რეჟიმმა, რომლისაგანაც ვერც ამ განახლების ხანაში გავთავისუფლებულვართ.

შემდეგ მიზეზად უნდა დავასახელოთ ჩვენი მოწინავე საზოგადოების უმრავლესობის მიერ მუსიკის და სიმღერა-გალობის მნიშვნელობის შეუგნებლობა და მხოლოდ უკანასკნელ დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება ავღიაროთ ჩვენი ნივთიერი ხელმოკლეობა. შეგნება და სურვილი იყოს, თორემ თუ სხვა რამეებზე ვხარჯავთ მილიონობით ქართულ მუდმივ გუნდსაც გამოუნახავდით შესაფერ თანხას.

დიდის ვაი-ვაგლახით მივედით იმ შეგნებადის, რომ როგორც ყოველი ერისთვის, ისე ჩვენთვისაც საჭიროა ჩვენი მშობლიური სიტყვიერი ენა.

ამაზე საყვედური აღარავისთვის გვეთქმის, სიტყვიერი ენა ვგონებ აღარ უნდა დაგვეკარგოს მაგრამ ეს შეგნება მხოლოდ ნახევარია ერთი დიდი მთელი ცნებისა, რომელიც ამბობს, რომ ყოველ ერს მის სიტყვიერ ენასთან ერთად აქვს კიდევ თავისი უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი ენა,—ენა თავისი გრძნობათა სფეროისა, ენა სიმღერა-გალობისა და მუსიკისა.

თუ უეჭველია ის დებულება, რომ ენის მოსპობასთანავე ისპობა თვით ერიც, უტყუარ [illegible] უნდა ჩაითვალოს ამ დებულებიდან გამომდინარე მეორე დასკვნაც: ოდეს ერი ჰკარგავს თავის გრძნობათა სფეროს ენას, იგი ამ მხრით მუნჯდება, ცივდება, ველურდება და კვდება, როგორც შემოქმედი და ხელოვანი.

ქართველი ერი გრძნობათა სფეროში უმთავრესად თავისი სიმღერა გალობით მეტყველებს.

მას შეუქმნია არა მარტო თავისათვის გამოსადეგი სამუსიკო კულტურა, არამედ მთელი კაცობრიობისათვის განსაცვიფრებელი რითმ-მელოდია-ჰარმონიები. მას ეს ძვირფასი საგანძური გამოუტანია ისტორიის გამანადგურებელ ქარტეხილების წიაღიდან, მან დღეს განახლებულ ცხოვრების მყუდრო ნავსადგურში გადმოზარგა ხელით [illegible] მარგალიტები და ნუ თუ ყოველივე ეს იმისათვის უნდა მომხდარიყო, რომ ძლიერ ქარტეხილის მაგიერ, ჩვენი შეუგნებლობას და დაუდევრობას ჩვენ თვალწინ გაენავებია ეს სიმდიდრე!

არა, ეს მიუტევებელი ცოდვა იქნება ისტორიისა და ერის წინაშე და ეს ცოდვა თუმცა ჯერ არ ჩაგვიდენია, მაგრამ ახლოს კი ვართ მასთან.

ძველი სიმღერა-გალობის მცოდნენი დღე-დღეზე კვდებიან და ქრებიან, ხალხი ქალაქის გავლენით თავის ნამდვილ შემოქმედებას ჰკარგავს, საერთო ეკონომიური კრიზისი სპობს ხალხურ სიმღერა-გალობიან დღესასწაულებს, დაიწყებას ეძლევიან ჩვენი სანაქებო ძველი კილოები, და მათ ნაცვლად ხალხი ითვისებს გიტარის და არღნის ლოთურ ჰანგებს, რომლებიც ძლიერი საწამლავივით შხამავენ ჩვენი ხალხის სულსა და გულს. დაწესებულებათა, მუსიკის მნიშვნელობის შეუგნებლობა და ჩვენი „მოწინავე საზოგადოების" გულციობა აფერხებს საქმეს ძველ რეჟიმიდან დაწყებულ ვიდრე დღევანდელ დღემდე.

იდეური მხარე, რომ თავი დავანებოთ და უბრალო პრაქტიკულ მოსაზრებაზე გადავიდეთ, არც მაშინ ვართ მართლები.

[illegible]

მაისტრ.

პასუხად ბ. ქემოკლიძეს

[illegible]

[illegible]

შ. რამიშვილი.

გამოვიდა თუ არა გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქტორი დ. ჯორბენაძე?

ოქმი № 15. 14 ოქტომბერი 1919 წ.

[illegible]

დ. ჯორბენაძე.

ოქმი № 16. 14 ოქტომბერი [illegible]

[illegible]

...ნაძე უნდა წაეყვანათ კამერაში, შემობრუნდა და შემდეგი განაცხადა: კიკოლა **მამუშაიშვილი** ჩემთან ორხელ იყო და ერთხელ ფულიც კი მივეცი ორასი მანეთი. კიკოლას ძლიერ ესიამოვნა ჩემი მოსვლა და ყოველივე დახმარების აღმოჩენას შემპირდა,—მითხრა: მეც ბევრი მყავს იმისთანა კაცები, რომლებიც გამოგვადგებაო და ნასიამოვნები წავიდა. კიკოლამ კარგათ იცოდა, რომ „ყველი" საიდუმლო სიტყვა იყო და იმის თქმა, რომ „ყველი" მზად არის ჩვენთვის გასაგები იყო, რომ კრება შესდგებოდა.

ლ. ჯორბენაძე.

გამგეობის წევრი **დოლიძე**

დედანთან სწორია: საქმის მწარმოებლის მაგიერ **შ. იაკობაშვილი.**

პროფესიონალურ კავშირებში

ალმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

(დასასრული. იხ. „ერთ". № 217).

კუკაბიძე: კრება მოწვეული იყო ცენტრალური გამგეობის დეპეშის თანახმად. მე არც კი ვიცოდი, თუ რისთვის იყო მოწვეული კრება, მხოლოდ შემდეგ გადმომცეს, რომ კითხვები ეხებოდა 8 საათის სამუშაო დღეს და სასურსათო საქმეს. ამასთანავე მე დამავალეს გამეცნო საზოგადო კრება, რომ სარევიზიო კომისია ჩამოსულა და საქმეს ის გამოიძიებს. ვინაიდან პირველი კრება არ იქნა კანონიერათ ცნობილი, ის აღიარებულ იქნა თათბირათ. სიგვიანის გამო თათბირის გაგრძელება გადაიდო მეორე დღისთვის. მეორე დღეს შენგელიამ, ჩასთვალა რა ეს კრება ხელმეორედ მოწვეულად, განაცხადა, რომ კრება კანონიერათ გამოვაცხადოთო. მე [illegible]

...ბას აკეთებს **ა. ხელაძე.** ჩვენ ოფიციალური განცხადება მივიღეთ სამინისტროდან, ამბობს ის, საიდანაც სჩანს, რომ რუსეთის მთავრობა არ დათანხმებულა რუსეთში ჩვენი მუშათა დელეგაციის შესვლაზე. როგორც გაზეთებიდან სჩანს, ამის მიზეზი ყოფილა ის, რომ დელეგაციაში კომუნისტები არ შედიან. მათის აზრით ეს დელეგაცია მთავრობისაა და ის ვერ გამოხატავს ხალხის სულისკვეთებას. როგორც ვიცით, დელეგაცია არჩეული იყო პროფესიონალ კავშირთა ყრილობაზე და თუ იქ კომუნისტი ვერ მოხვდა,—ალბათ კავშირებში ადგილი არ ქონიათ მათ. ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ საშვალება არ მოგვეცა ჩვენი დელეგაცია გაგვეგზავნა საბჭოთა რუსეთში და გაგვეგო, თუ როგორია ჩვენ ამხანაგ მუშათა მდგომარეობა, რა პირობებშია ჩაყენებული მუშათა ორგანიზაციები და ამის მიზეზია საბჭოთა მთავრობა. მაგრამ ჩვენ აქ ვერ გავჩერდებით. ჩვენ უნდა მივანდოთ ალმ. კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ ის დაელაპარაკოს რუსეთის პროლეტარიატს და უთხრას მას, რომ ჩვენ გვინდოდა მათთან მივსულიყავით და არ გაგვიშვეს; ამასთანავე ერთად ჩვენ უნდა ვუთხრათ მათ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ნება არ დაგვრთეს მათთან მისვლის—ისინი მოვიდნენ ჩვენთან და გაეცნონ ჩვენს მუშაობას. ჩვენ გარანტიას ვაძლევთ, რომ არავითარ დაბრკოლებას ისინი არ შეხვდებიან ჩვენი მთავრობის მხრივ, პირიქით, ყოველივე დახმარებას აღმოუჩენს მათ, ვინაიდან ის მუშათა და გლეხთა მთავრობაა. ასე უნდა მივმართოთ რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრს. ამასთანავე ერთად ჩვენ უნდა მივმართოთ საერთაშორისო პროლეტარიატის უმაღლეს ორგანოს და ვამცნოთ [illegible]

კახეთის რკინის გზაზე

[illegible]

შეიძინოს პური. თუ თვით სოფლელს უნდა წაიღოს ქალაქში ანუ სხვაგან თავის ოჯახისათვის პური, მან უნდა მიმართოს ერობას ანუ თემს შესაფერისი მოწმობების მისაღებად. მუშა-მოსამსახურეთ კი თავისი პროფესიონალური ორგანო უნდა აძლევდეს საამისო მოწმობებს. რა თქმა უნდა, აქაც ნორმაა საჭირო, თუ ვის რამდენის უფლება ექნება. ამ ჟამათ გლეხობა მალავს თავის ხორბლეულობას, ელოდება შესაფერ დროს და ცდილობს სპეკულიანტზე გაჰყიდოს მეტ ფასათ, ვიდრე მთავრობის აგენტს დაუთმოს.

თუ კი შესაფერი ზომები იქნა სპეკულიანტების წინააღმდეგ მიღებული,—მაშინ გლეხი ძალაუნებურად გადასცემს თავისივე ხელით მომარაგების სამინისტროს აგენტებს თავის ხორბლეულობას. ამით გაცილებით გაადვილდებათ აღნიშნულ აგენტებს მუშაობა. დღეს კი სპეკულიანტთა ასეთი თარეში ძალიან აფერხებს მათ ნაყოფიერ მუშაობას. გლეხობა ერთსა და იმავეს იმეორებს—არშინ ჩითს ამდენს და ამდენს გვიფასებენ და ჩვენ როგორ უნდა გავყიდოთ ჩვენი საქონელიო. საჭიროა, რაც შეიძლება, დააჩქაროს მთავრობამ უკვე განზრახულის სისრულეში მოყვანა, რამდენადაც შესაძლოა,—რომ გლეხობასაც მიაწოდოს მისთვის საჭირო საგნები, როგორც ფართალი ისე სხვა. ასეთი საშუალებით რამდენიმედ მაინც მოესპობა ნიადაგი ქალაქიდან სოფლებში სპეკულიანტების თარეშს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება საქმისათვის.

ვანო მეტრეველი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 16 ენკენისთვეს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტ. თფილისის დეპოს ორგანიზაციის კრება, კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ილ. მანჯგალაძე. მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. პავ. წულაიამ ევროპის სოც. დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრება მხურვალე სალამს უძღვნის მებრძოლთ,—მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებს და ემედს გამოსთქვამს, რომ ისინი იმუშავებენ ჩვენი და დასავლეთ ევროპის დაახლოვებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის, რითაც ჩვენ საშუალება მოგვეცემა განვამტკიცოთ ჩვენი თავისუფლება.

მდივანი.

თფილისი. 23 ენკენისთვეს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება ამხ. მ. ძამაშვილის თავმჯდომარეობით.

პირველათ მოხსენება გააკეთა ცენტრიდან ამხ. ი. გიორგაძემ. თავის მოხსენებაში იგი ეხება მუშებისთვის ფრიად მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა მაგალითად: მუშების მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ გზების გამონახვა; თფილისის გაწმენდა, სავალდებულო შრომა, ბინის საკითხი და სხვ.

ყველა ჩამოთვლილ კითხვების დადებითად გადაწყვეტას მუშები დიდი ხანია მოელიან და მაინც დიდი ყურადღებით ეკიდებიან ამ კითხვებს.

სოციალისტურ დელეგაციის მოწვევა ნაძალადევის თეატრის შენობაში ცენტრში გადაწყვეტილია დადებითად. დელეგაცია მოწვეულ იქნება ამ თვის 28 ს საღ. 4 საათზე. თეატრის შენობაში შესდგება თფილისის ს.-დ. ორგანიზაციების შეერთებული კრება. ეზოში გაიმართება მიტინგი.

მოხსენება მოსმენილ იქნა დიდის ყურადღებით.

რაიონში კურსების დაარსების შესახებ, გარდა სიტყვიერი შუამდგომლობისა, დადგენილ იქნა გადაეგზავნოს ცენტრალურ კომიტეტს ოქმიდან ამონაწერიც.

შემდეგ კრება ეხება მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელ განკარგულებას, სახელმწიფო დაწესებულებებში გამეფებულ მშრომელ ხალხისათვის მავნე და საზარალო მოვლენის—ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად ზომების მიღების შესახებ. კოლექტივი იწონებს მთავრობის თავმჯდომარის მიერ მიღებულ ზომებს ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელათ და თავის მხრივ შეძლებისდაგვარად აღუთქვამს დახმარებას, განკარგულების სისრულეში მოსაყვანათ.

რაიონულ ორგანიზაციებს წევრების შეერთებულ კრების მოწვევის შესახებ კრებას გამოაქვს დადგენილება—მოწვეულ იქნეს აღნიშნული კრება—თბილისის ს.-დ. ორგანიზაციების მომავალ შეერთებულ კრების შემდეგ.

ბოლოს კრება იხილავს ზოგიერთ წვრილმან საკითხებს.

მდივანი **გ. ფოფხაძე.**

მუშათა შორის

ჭიათურა. 16 სექტემბერს შესდგა კრება დარკვეთის მიულსების ფირმის მუშებისა; კრებას დაესწრო რიცხვით ორასი კაცი. კრებაზედ გამოცხადდენ ორი სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი: სოც.-რევოლიუციონურის და სოც.-დემოკრატების. პირველათ ვრცელი მოხსენება გააკეთა ვასილ გაფრინდაშვილმა, რომელმაც გააცნო დამსწრეთ სოციალ-დემოკრატიული პროგრამის მიხედვით მიწის საკითხი და მუშათა საკითხი, აგრეთვე შეეხო სოც.-რევოლიუციონერების მიწის სოციალიზაციას, მას პასუხი გასცა სოციალ-რევოლიუციონერების წარმომადგენელმა ერასტი თოდუამ. დასასრულ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა კრებამ მოხსენება ვასილ გაფრინდაშვილისა, ე. თოდუასი (სოც.-რევო.) კონტრ-მოხსენება, ნდობას უცხადებთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, თავს ვიყრით მისი დროშის ქვეშ და მთელი ჩვენი ძალ ღონით დავიცავთ მას.

მდივანი **ოქროპირ ქურციძე.**

პროვინცია

ხონი. როგორც საზოგადოება, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენელნი თითქმის ერთხმად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ადგილობრივ გამომძიებლის გერასიმე ხაჟომიას მიმართ, რომელსაც თუ ხმებს დაეჯერება, თურმე ასეთი წესი აქვს: დამნაშავეს უძებნის ისეთ კანონს, რომელშიაც იგი იოლად გაძვრება. ადმინისტრაციის წარმომადგენელნი—ხონის მილიციის უფროსი და რაიონული კომისარი—ერთხმად ამბობენ: რაც უნდა მძიმე დანაშავე წარვუდგინოთ, იგი უთუოდ გაუშვებს თავდებ ქვეშ. ხალხიც ერთობ უნდობლათ უყურებს ბ. ხაჟომიას და გაიძახიან: თუ მის ხელში რაიმე საქმე გადავიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავე გაძვრება. იყო ასეთი შემთხვევა: რაიონის კომისარს მოგვარეს ქურდი, რომლის დაჭერით საზოგადოებამ ამოისუნთქა. ადმინისტრაცია შუამდგომლობდა ხაჟომიას წინაშე: ამ ქურდს რამდენიმე საქმე ეხება და დროებით მაინც ნუ გაუშვებთო. ერთი საქმის გამო წარდგენილი ოქმი კი თანვე ახლდა ტუსაღს. ხაჟომიამ ამ ოქმით იმ წუთსვე გაუშვა ტუსაღი. როცა რაიონის კომისარმა კითხა: რათ გაუშვით, იმას სხვა საქმეც ეხებოდაო, უპასუხა: მეორე საქმეზე მეორეთ დაიჭირეთ, გამოიძიეთ, ოქმი, შეადგინეთ და მე სამართალში მივცემო. გამოდის რომ ბ. ხაჟომიას ადმინისტრაციამ უნდა გამოუძიოს ყველაფერი, მისცეს ხელში უტყუარი საბუთები და მხოლოდ მერე მოკიდებს ხელს. ხაჟომიას ბიუროკრატიზმს მეორე ფაქტიც ამტკიცებს: ამ დღეებში ნახახულევის თემში ნახეს მკვდარი ბავშვი, აცნობეს მას, მაგრამ მან წასვლაზე და გამოძიებაზე უარი განაცხადა: აქ მომხდარს საქმე ადმინისტრაციის ხელით გამოძიებულიო. ჩვენ გაგვიგონია, რომ საქმის მოყვარული გამომძიებლები მთელი წლობით იძიებენ საქმეს, უბრალო ნიშნის მიხედვით აჟარებულ ძიებას ახდენენ და ხშირად მიზანსაც აღწევენ; ჩვენი გამომძიებელი კი ზის თავის კამერაში, ჩაცივებია მკვდარ ფორმალიზმს და ლამის არის ხალხს ერთიანად შეაძულოს სასამართლო.

ხაჟომიას მოქმედების შესახებ დაინტერესებულმა პირებმა ერთგვარი საჩივარი მიართვეს დამფუძნებელი კრების წევრს ვლასა მგელაძეს, როგორც ამბობენ მღვდლიევისთვისაც შეუჩივლიათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხაჟომია თავის ადგილზეა და არც ვიცით სანამდის გაგრძელდება ასე.

საჭიროა ეხლავე მიაქციოს იუსტიციის მინისტრმა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება და გამოიკვლიოს რაშია საქმე: მართლა სცოდავს ბ. ხაჟომია, თუ ეს მხოლოდ უსაფუძვლო ხმებია.

წვეთიანიძე.

ჭოლო-აბედათის თემი (სენაკ. მაზრა). წარსული წლის ოქტომბრიდან ეს თემი გაერთიანდა. (წინედ ცალკე ერთეულებს შეადგენდა) მცხოვრებთა რაოდენობა 800 კომლამდე იქნება; მცხოვრებნი მიწის მუშაობას მისდევენ, მაგრამ დიდი ბრძოლა უხდებათ მიწასთან, რომ მოსავალი მოიყვანონ. წელს სიმშილობასაც ჰქონდა ადგილი, რამაც დიდათ შეავიწროვა ხალხი.

დიდ იმედებს ამყარებდა თემი გამგეობის და ხმოსნების მუშაობაზე. მაგრამ ამაოდ: მათმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. თემი მოკლებულია ხეირიან გზებს, ხიდებს და შეუძლებელია მიმოსვლა. ოდესღაც კულტურული დაწესებულებებით მდიდარი თემი, დღეს მივიწყებულ და უკიდურეს მდგომარეობაშია, პარტიული მუშაობაც ძლიერ მოდუნებულია, რადგან ძალების ნაკლებობაა, 1918 წლიდან აქ მუშაობს აგრარული კომისია, მაგრამ ძლიერ ზანტად და უნაყოფოდ.

საჭიროა ზომები და მეტი ყურადღება (სამაზრო) ცენტრისა, რომ თემი არ მოიცვას სიბნელემ.

გამრჯელი.

რაჭა. 1903 წელს რაჭაში თავი იჩინა „ფილოქსერამ", რომელმაც მთელი ვენახები გადაახმო და გაანადგურა. გლეხები შეუდგენ სხვა ღონისძიებას: მთელი ნავენახარი მიწები გადააბრუნეს და ძველი ვენახის ნაცვლათ 1915 წლამდე სულ ამერიკულ ძირზე ვაზზე დამყნილი ვენახი გააშენეს. ამან პირველად კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა ვენახებს: უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორეთ ისე მოუვიდათ მათ. 1916 წელს ვაზებს რაღაც უხილავი ჭირი გაუჩნდა და ამდენ ნაშრომს განადგურებას უქადის. როდესაც გაზაფხულზე კვირტი იშლება და ჯერ ფოთოლი არც კი გამოჩენილა, იმ დროს უჯდება რაღაც უხილავი არსება კვირტებში და, რომელ ვაზზედაც დაიბუდებს, ის ვაზი მაისის ოცამდე გამხმარივით წამოგიდგებათ თვალწინ.

შემდეგ იკეთებს პატარა ტოტებს, მაგრამ ორი წელიწადი უნდება ავადმყოფობის მოხდას და ნაყოფსაც აღარ იძლევა. ზემოხსენებული სენი პირველ წლებში ცოტა ზარალს იძლეოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან გავრცელდა და წელს თითქმის მესამედი ვენახისა გაანადგურა. საჭიროა მიიღოს ზომები ზემოხსენებული სენის წინააღმდეგ ვისი ჯერ არს, თორემ ამ ახლო მომავალში მევენახეებს ხელიდან გამოეცლებათ 15 წლობით ნაშენები ვენახები, რაც გამოიწვევს ისედაც უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილს გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს.

გ. კობახიძე.

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

დილის და საღამოს მოსამზ. ჯგუფებს
მე 2, 3, 4, 5, 6, კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ვადგენ. პლეხანოვის ქ. 25 (კუთხე ალექსის ქ. 5) ჩაწერა 9—11 ს. 2—5 ს. ფასი 2500—3500 მ. თვეში. (3132—3—1)

100,000 მანეთი ჯილდო
იმას, ვინც მიშოვნის 3—6 ოთახიდის. შემიძლია ვიყიდო საშვალო სახლი. იკითხეთ ჩერქეზიშვილის ქ. 59 საკოვიდილის 9 ს. საღამოს 8 ს. ტელეფონი 8—26 იკითხეთ $3^1/_2$—$4^1/_2$ ს. საღამოთი. (3136—3—1)

საჭიროა
თფ. სადგურის საპარიკმახეროსთვის ორი ხელზე მოსამსახურე და ორი მეკარე (შვეიცარი) პირობებისთვის მიმართეთ იქვე ნოზაძესათ ან ლევანაშვილთან. (3113—2—2).

იყიდება
კრამიტი მარსელის ტიპისა ქსანის ქარხანაში დამზადებული. პლეხანოვის პრ. № 195. მუშტაიდის ახლოს. (3119—2—2).

დაიკარგა
15 სექტემბერს ორი ყმაწვილი: რუბენ და რაფიელ ლევანის ძენი ჰაჰუნცები, მას შემდეგ დავეძებთ და ვერაფერი გავიგეთ ზემოთ აღნიშნულ ყმაწვილებისა. თუ ვინმემ რამე გაიგოს—ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი ადრესით: გონჩარის ქ. № 50. (მე-8-ე კომისარიატი) მარიამი ჰაჰიანცი. (3116—2—2).

ექიმი
პ. ცუეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 $^1/_2$ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.)

ქალი ექიმი **მ. ა. შაჟრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შ... დებები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე, ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ... ქ. № 23. (21 ოქტ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
დაბრუნდა და განაახლა სიფილისით (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
ხოლოდმინან ასხაბ მე გოლოვი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55 (11—ოქტ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
ყურის ასხაბ მე გოლოვი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—20. (11—ოქტ.)

ექიმი
ლ. ვ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ. 11—51. (11—ოქტ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—პლევი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20. (1—ოქტ.)

ექიმი
ბ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (1—ოქტ.)

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგანი და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16. 3072—5—4)

მანერისათვის და ივნისისათვის
ვამზადებ
ბავშვებს 1, 2, 3, 4 კლას. შესასვლელად. გიმნაზიაში და უმაღლ. დაწყებ. სასწავლ. ჩაწერა 9—12 ს. მეცადინობა დილით. ბინა ი. მაჩაიძისა. პლეხანოვის ქ. 25 (ალექსის ქუჩის კუთხე). (3103—5—3)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს სახლში, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეთი გიპენზი. მიღება: დილის 10 $^1/_2$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ქალი ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 23 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირჩის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ოქტ.)

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირჩის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. ... ქ. № 23, ...

პირველი ქ. თბილისში საბუღალტრო კაბინეტი
... ბუღალტერებისა, რომელნიც მსახურებენ მსხვილ დაწესებულებების საპასუხისმგებლო ადგილებზე, ღებულობს ყოველ გვარ საბუღალტრო სამუშაოს. როგორც მაგალითად: 1) ანგარიშების შედგენა, 2) რევიზია და დაბნეულ ანგარიშების გამორკვევა, 3) სწორი მოანგარიშეობის დაყენება იტალიურ ორმაგ სისტემაზე ყოველ გვარ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში და 4) კონსულტაცია ბუღალტერიის ყოველგვარ საკითხებში.
სამუშაოს ასრულებენ ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. კაბინეტი ღიაა საღამოს 5—7 საათ. კვირაობით დილის 10—12 საათ. ალექსანდროვის ქ. № 1. რეუტოვის ქ. კუთხე. (2950—6—6)